


პროკურატურის ადამიანური რესურსები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა 778 თანამშრომელი, მათ შორის 304 ქალი და 474 მამაკაცი.

414 პროკურორიდან 132 ქალია, ხოლო 282 მამაკაცი; 82 გამომძიებელიდან 9 ქალია, ხოლო 73 მამაკაცი; 131 პროფესიული საჯარო მოხელეთაგან 115 ქალია, 16 მამაკაცი, ხოლო ხელშეკრულებით მიღებული 151 თანამშრომელიდან 48 ქალია, 103 მამაკაცი.



საქართველოს პროკურატურაში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა

- პროკურორი - 414 ● გამომძიებელი - 82
- პროფესიული საჯარო მოხელე - 131
- ხელშეკრულებით მიღებული პირი - 151



778 თანამშრომელიდან მენეჯერულ პოზიციას იკავებდა 139, მათ შორის - 16 ქალი. მენეჯერულ პოზიციებზე მყოფი ქალებიდან 1 არის გენერალური პროკურორის მოადგილე, 2 - დეპარტამენტის უფროსი, 3 - დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 4 - სამმართველოს უფროსი, 2 - რაიონული პროკურორი და 4 - რაიონული პროკურორის მოადგილე.

2020 წელს დაინიშნა 52 ახალი თანამშრომელი, მათ შორის 7 პროკურორი და 7 გამომძიებელი. განხორციელდა 152 შიდა საკადრო გადაადგილება (მათ შორის 37 - სტაჟიორი).

2020 წელს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში ერთწლიანი სტაჟირება გაიარა 37-მა სტაჟიორ-პროკურორმა, რომლებიც სტაჟირების შედეგების გათვალისწინებით, სტაჟირების კომისიასთან წარმატებული გასაუბრების შემდეგ დაინიშნებიან პროკურორისა და გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობებზე.

2020 წლის განმავლობაში სულ წახალისდა 326 თანამშრომელი, ხოლო დისციპლინური სახდელი დაედო 15 თანამშრომელს.

პროფესიული საჯარო მოხელის შესარჩევად ჩატარდა 9 ღია კონკურსი. ამჟამად მიმდინარეობს 1 კონკურსი.

მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

საქართველოს გენერალური პროკურატურა მუდმივად ზრუნავს მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერებაზე. მას შემდეგ, რაც მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორები გახდნენ პროცესის მონაწილე სუბიექტები, ისინი აქტიურად ესწრებიან დაზარალებულის/მონმის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებსა და სასამართლო პროცესებს, აწვდიან დაზარალებულებს ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის შესახებ, ეხმარებიან მათთვის საჭირო სერვისებით სარგებლობაში (იქნება ეს თავშესაფრით უზრუნველყოფა, სამედიცინო და იურიდიული დახმარება თუ ხელშეწყობა დასაქმებასა და სხვა პიროვნული და პროფესიული უნარების გაძლიერებაში).



გარდა ამისა, 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან იმავე კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულები სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც უშუალოდ ამ დანაშაულის შედეგად მიაღდა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უფლებით სარგებლობამდე დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა შესთავაზოს მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა.




პროკურორებისა და კოორდინატორების ეფექტიანი ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, მომზადდა სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ“. კონსულტაციის გავლის მიზანია, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორი დაეხმაროს დაზარალებულს, რათა მან მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება, სრულად გააცნობიეროს ბრალდებული ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის შედეგები, ასევე, რისკები და საფრთხეები, რომლის წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდეს თავად ან მისი არასრულწლოვანი შვილები (მათი არსებობის შემთხვევაში) გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას. გარდა ამისა, კოორდინატორი არკვევს, დაზარალებულის მიმართ ხომ არ ხორციელდება რაიმე უკანონო ზემოქმედება, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესახებ მისი პოციზია ხომ არ არის განპირობებული სხვა სუბიექტური ან ობიექტური გარემოებებით (მუქარა, იძულება, თხოვნა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებლის საჭიროება და სხვა), რათა შეფასდეს დაზარალებულის მიმართ ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური, მატერიალური მხარდაჭერის საჭიროება და მიღებული იქნეს ზომები მათ აღმოსაფხვრელად (სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გზით, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის აქტიური კომუნიკაციით).

იმის გასარკვევად, თუ რა მიღწევები და გამოწვევები აქვს კოორდინატორის სამსახურს, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ ჩატარდა კოორდინატორების საქმიანობის მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა 236 სისხლის სამართლის საქმე და მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა მონიტორინგის ანგარიში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ანალიტიკური პროგრამული სისტემით განხორციელდა მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვისა და მათზე მონიტორინგის სისტემის სრული ავტომატიზაცია.


- აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით, რომელიც შედგება თბილისსა და რეგიონების მასშტაბით მომუშავე 21 კოორდინატორისგან, ისარგებლა 3006-მა პირმა (დაზარალებულმა, მონმემ, განმცხადებელმა).
- მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ 2020 წელს განხორციელდა 8366 აქტივობა. მონმეებისა და დაზარალებულების საჭიროების გათვალისწინებით, კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად განახორციელეს ქვემოთ მოცემული აქტივობები.

კოორდინატორების მიერ ხშირად განხორციელებული ქმედებები



2020 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების მოწმეებსა და დაზარალებულებს.

საქმეთა რაოდენობა მუხლების მიხედვით



საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და დანაშაულის პრევენცია

საქართველოს პროკურატურა დანაშაულის პრევენციის მიზნით ახორციელებს პროექტებს „ადგილობრივი საბჭო“ და „საზოგადოებრივი პროკურატურა“, რომელთა მიზანია მოქალაქეთა სამართლებრივი ცნობიერების გაზრდა და პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება.

2020 წელს ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში კვლავ გაგრძელდა აღნიშნული პროექტის განხორციელება და დისტანციურ რეჟიმში გაიმართა ადგილობრივი საბჭოს 21 სხდომა შემდეგ ქალაქებში: თბილისი (5 სხდომა), ბათუმი, ხელვაჩაური, ოზურგეთი, ზუგდიდი, სამტრედია, ქუთაისი, ახალციხე, ახალქალაქი, გორი, ბოლნისი, რუსთავი, მცხეთა, სიღნაღი, სენაკი, გურჯაანი და თელავი.



თითოეულ ქალაქსა თუ რაიონში გამართულ სხდომებზე, სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, განხილული იქნა ქვეყნის მასშტაბით საერთო, განსაკუთრებით აქტუალური საკითხი - „არასრულწლოვნებში ძალადობრივი ქცევის გამოვლინებების პრევენცია და საზოგადოების მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა“. ასევე, განხილული იქნა უშუალოდ ამ რაიონებში გავრცელებული დანაშაულები და მათთან დაკავშირებით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები.



ადგილობრივი საბჭოს მიერ 21 რაიონში გამართულ შეხვედრებზე კომპეტენტური პირების მიერ გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. დაიგეგმა შემდგომი ღონისძიებები დანაშაულის პრევენციის მიზნით, რომლებიც ჩატარდება პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში.


სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან კომუნიკაცია

საქართველოს პროკურატურამ, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და სტუდენტური ორგანიზაციის მომართვის საფუძველზე, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების 6 ჯგუფს უმასპინძლა. შეხვედრების ფარგლებში პროკურორებმა მსმენელებს გააცნეს პროკურატურის ფუნქციები და როლი, ისაუბრეს პროკურატურის სისტემაში სტაჟირების გავლის შესახებ. შეხვედრების ძირითადი თემატიკა იყო: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარები, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, ტერორიზმი, გენდერული ძალადობა და ოჯახში ძალადობა. განხორციელებულ აქტივობებში 200-ზე მეტი სტუდენტი და სკოლის მოსწავლე იყო ჩართული.

ასევე, ონლაინ ლექციები ჩატარდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში.

საჯარო ინფორმაციის გაცემა

2020 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სულ შემოვიდა 322 განცხადება.



საქართველოს გენერალური პროკურატურა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

აღნიშნულ პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო საქართველოს პროკურატურის წინააღმდეგ ადმინისტრაციული საჩივარი ან/და სარჩელი წარდგენილი არ ყოფილა.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს პროკურატურაში 2020 წელს არ გამოვლენილა.

გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები

2020 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა:




24 სამსახურებრივი შემოწმება



პროკურატურის 24 თანამშრომლის მიმართ


ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების განხილვის შედეგები მითითებულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში.

2020 წელს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგები




ამ ეტაპზე, კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთვის წარდგენილია სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა 8 თანამშრომლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონაცემებს გენერალური ინსპექციის მიერ კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთვის წარდგენილი სამსახურებრივი შემოწმების დასკვნების თაობაზე.

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთვის წარდგენილი სამსახურებრივი შემოწმების დასკვნები



2020 წელს გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიების დაწყების მაჩვენებელი

2020 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 8 სისხლის სამართლის საქმეზე.



2020 წლის მონაცემებით საქართველოს გენერალურ ინსპექციაში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ, მათ შორის:

- 1 პროკურორის მიმართ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 1 ინსპექტორ-გამომძიებლის მიმართ საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლით;
- 2 ადვოკატის მიმართ საქართველოს სსკ-ის 339-ე და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლებით;
- 1 თარჯიმნის მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით.

2020 წლის მონაცემებით გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 3 პირის მიმართ. მათ შორის:

- 1 პროკურორის მიმართ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიმართ საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით;
- 1 ადვოკატის მიმართ საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ, შეიქმნა ეთიკის კოდექსის კომენტარები, რომლითაც გენერალურ ინსპექციაში არსებული პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე, კონკრეტული კაზუსების მითითებით, დეტალურად განიმარტა კოდექსის თითოეული მუხლი. კომენტარის შემუშავება ხელს უწყობს საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის ნორმების სწორ განმარტებას და განჭვრეტადს ხდის თითოეული ნორმის შინაარსს.

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო




„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სისტემაში ფუნქციონირებს საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო.

2020 წელს ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს 10 სხდომა. მათგან 9 სხდომაზე განხილული იქნა 277 თანამშრომლის საკითხი, ხოლო ერთ სხდომაზე საბჭომ განიხილა პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების ახალი შეფასების სისტემის პროექტი.

172 წარმოდგენილი თანამშრომლიდან საბჭომ რეკომენდაცია გაუწია **148** თანამშრომლის ნახალისებას;

73 წარმოდგენილი თანამშრომლიდან საბჭომ რეკომენდაცია გაუწია **15** თანამშრომლის დაწინაურებას (შიდა კონკურსის საფუძველზე);

19 წარმოდგენილი თანამშრომლიდან საბჭომ რეკომენდაცია გაუწია **14** თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენებას და **4** თანამშრომლის მიმართ რეკომენდაციით მიმართვას.



გენერალურმა პროკურორმა გაითვალისწინა საბჭოს ყველა რეკომენდაცია.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირება

საქართველოს პროკურატურაში უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების სისტემის შემოღება. საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს №036 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესი.“

რანგირების მიზანია პროკურატურის თანამშრომელთა კარიერის სწორად დაგეგმვა და განვითარება, მოტივაციის ზრდა და პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება.

რანგირებას ექვემდებარებიან პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები.

პროკურორსა და პროკურატურის გამომძიებელს, სათათბირო ორგანოს - რანგირების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, რანგს ანიჭებს, უცვლის ან/და უცვლელად ტოვებს საქართველოს გენერალური პროკურორი შესაბამისი ბრძანებით. რანგირების საბჭოს შემადგენლობაში შედიან: გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საპროკურორო საბჭოს 8 პროკურორი წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსები.

პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლისათვის რანგის მინიჭება/შეცვლა ხდება წინა რანგის მინიჭებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, შეფასების შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე, რანგის მინიჭება/შეცვლა შესაძლებელია საქმიანობის ყოველი შეფასებისას, შეფასების შედეგების საფუძველზე.

რანგის მინიჭება/შეცვლა ასევე შესაძლებელია ვადის დაცვის გარეშე ხელმძღვანელის ან/და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მოტივირებული და დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე ან რანგის შეცვლის დისციპლინურ სახდელად გამოყენებისას.

2020 წლის 1 სექტემბრიდან სექტემბერს საქართველოს პროკურატურის ყველა პროკურორსა და გამომძიებელს სანყისი - მესამე რანგი მიენიჭა.

რანგის მინიჭების, შეცვლის ან უცვლელად დატოვების ზოგადი საფუძვლებია:

- პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის საქმიანობის შეფასების შედეგები;
- პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის შრომითი სტაჟი, რომელიც მეორე რანგის მისანიჭებლად არ უნდა იყოს პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის 2 წლის სტაჟზე ნაკლები, ხოლო პირველი რანგის მისანიჭებლად – პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის 3 წლის სტაჟზე ნაკლები;
- ინფორმაცია წახალისებისა და დისციპლინური სახდელის შესახებ;
- ინფორმაცია განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის შესახებ;
- პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის ხელმძღვანელის წარდგინება (დახასიათება), რომელიც ასევე მოიცავს ინფორმაციას პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის საქმიანობის შესახებ;
- გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის წარდგინება;
- გენერალური პროკურორის, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ან მოადგილეების წარდგინება.

მეორე და პირველი რანგის თავდაპირველად მინიჭებისას უნდა არსებობდეს 2 წინაპირობა:

- მეორე რანგის მისანიჭებლად აუცილებელია შეფასების სისტემის საფუძველზე პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის მიერ მაღალი ან უმაღლესი შეფასების მიღება და პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
- პირველი რანგის მისანიჭებლად აუცილებელია შეფასების სისტემის საფუძველზე პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის მიერ უმაღლესი შეფასების მიღება და პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.



2020 წლის 22 დეკემბერს ჩატარდა რანგირების საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც განხილული იქნა საბჭოსთვის წარდგენილი კანდიდატებისათვის რანგის მინიჭების საკითხი. რანგირების საბჭოს სამდივნომ რანგირების საბჭოს წარუდგინა მასალები 137 პროკურორის და გამომძიებლისთვის მეორე ან პირველი რანგის თავდაპირველად მინიჭების თაობაზე. საბჭოს სხდომაზე კენჭისყრით მიღებული იქნა გადაწყვეტილება 36 პროკურორის/გამომძიებლისთვის I რანგის, ხოლო 74 პროკურორის/გამომძიებლისთვის II რანგის მინიჭების თაობაზე.

რანგირების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით 110 პროკურორს/პროკურატურის გამომძიებელს მიენიჭა რანგი და დაენიშნა რანგის შესაბამისი დანამატი.

მეორე ან პირველი რანგის მქონე პროკურორებსა და პროკურატურის გამომძიებლებს ყოველთვიურად მიეცემა შესაბამისი სახელფასო დანამატი.